აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 30

09 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე და ანზორ ბაღათურია.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი ირაკლი გვარამია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნებში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

2. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ;

(თ. შარმანაშვილი)

1. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა №79 ბათუმის საოლქო საარჩვნო კომისიის წევრის ომარ ვარშანიძის განცხადება. მან აღნიშნა, რომ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შემოსულია №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ომარ ვარშანიძის განცხადება, რომლითაც იგი მოითხოვს უფლებამოსილების შეწყვეტას. ასევე აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ №79 ბათუმის ოლქის წევრი ომარ ვარშანიძე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული იქნა №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად, აუცილებელია უსკოს მიერ არჩეული №79 ბათუმის ოლქის წევრობა შეუწყდეს, ვინაიდან არ მოხდეს მისი თანამდებობრივი შეუთავსებლობა. ასევე აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისია უფლებამოსილია შეუწყვიტოს №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება პირადი განცხადების საფუძველზე.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 95-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. შეუწყდეს უფლებამოსილება №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ომარ ვარშანიძეს, საკუთარი განცხადების საფუძველზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ;

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ უმაღლეს საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბრის №9 დადგენილებით - საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, 2008 წლის 23 სექტემბრის №12 დადგენილებით - საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ და 2008 წლის 11 ოქტომბრის №14 დადგენილებით - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის კენჭისყრის დღის პროცედურების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, საუბნო საარჩევნო კომისიები იხელმძღვანელებენ 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა ქეთევან ჯიქიამ. მან აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება წარმოდგენილი დადგენილების პროექტში პირველი, მეორე და მესამე პუნქტები გადანაცვლებულიყო უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული №9, №12 და №14 დადგენილებების მიხედვით.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის შენიშნვის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 63-ე მუხლის 13-ე პუნქტის, 64-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის გამოყენებულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბრის საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ №9 დადგენილება.

მუხლი 2. 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიებმა იხელმძღვანელონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 23 სექტემბრის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ №12 დადგენილებით.

მუხლი 3. 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიებმა იხელმძღვანელონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის კენჭისყრის დღის პროცედურების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ №14 დადგენილებით.

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია